ხელშეკრულება N106
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 01 ივლისი 2022 წელი

ერთი მხრივ, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემდგომში-შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **სოფიო გორგოძის** სახით და მეორეს მხრივ, შპს „შენი უსაფრთხოება" (შემდგომში-მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **მარიამ ივანიშვილის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია პირველადი დახმარების ყუთი (**CPV: 33141623 - პირველადი დახმარების კომპლექტები)** შესყიდვა განხორციელდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს!" ქვეპუნქტის საფუძველზე.

N	საქონლის მახასიათებლები	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	**პირველადი დახმარების ყუთი** წონა: 1,2 კგ ზომა: 322x242x122სმ **ყუთში მოთავსებულია:** 1. ქირურგიული წებოვანი პლასტირი; 2. ჭრილობის სახვევი; 3. სტერილური ჰიდროფილური კომპრესი; 4. ჰიდროფილური ბამბა; 5. გამაციებელი პაკეტი; 6. ანტისეპტიკური ხსნარი ბეტადინი; სტერილური ბინტი; 7. ელასტიური ბინტი წებოვანი პლასტირი (სანტავიკი); 8. წყალბადის ზეჟანგი; 9. სტერილური ხელთათმანი (ვინილი); 10. მაკრატელი; 11. სამკუთხა ბანდაჟი; 12. თერმული საბანი; 13. ხელოვნური სუნთქვის ნიღაბი; 14. სველი ხელსახოცი; 15. ალკოჰოლური ხელსახოცი; 16. ლახტი	1 ცალი	102,00	102,00

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. ხელშეკრულების ღირებულებაა 102.00 (ას ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

3.2. შემსყიდველი ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის გადახდას განახორციელებს *2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (კოდი 32 04 01 01 სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის აპარატისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან).*

3.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2022 წლის 10 კალენდარულ დღეში;

4.2. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ადგილია ქ.თბილისი;

4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ ,,შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის" საფინანსო-სამეურნეო სამსახურის საწყობის მენეჯერი **ბერდია დონღვანი.**

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6.2. ქარხნული დეფექტის და ნაკლის აღმოფხვრის ვადა შეტყობინებიდან არაუმეტეს 7 (შვიდი) კალენდარული დღე;

6.3. საგარანტიო მომსახურების გაწევა მოხდება, მიმწოდებლის მიერ გაცემული საგარანტიო ტალონის შესაბამისად.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

7.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- დროულად, ჯეროვნად, ხარისხიანად, მაღალკვალიფიციურად და სრულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი;

7.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის შემდგომ და მოქმედებს 2022 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებულ დღეზე ხელშეკრულების პირობების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0.02%-ის ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია დაფაროს პირგასამტეხლო არაუგვიანეს შემსყიდველის წერილობითი

მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების ინსპექტირება

13.1. ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლს და ზედამხედველობას, შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სსიპ ,,შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის" საფინანსო-სამეურნეო სამსახურის საწყობის მენეჯერი **ბერდია დონღვანი.**

13.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14. ინტერესთა კონფლიქტი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

15. სხვა პირობები

15.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონული ფორმატით, რომლის ამონაბეჭდი არის ელექტრონული დოკუმენტის ასლი და მას ელექტრონული დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ელექრონული დოკუმენტი ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი: **სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი** ქ. თბილისი, მინდელის ქ. #9 ს/კ 202198727 სახელმწიფო ხაზინა ანგარიშის #200122900	**მიმწოდებელი:** შპს „შენი უსაფრთხოება" თბილისი, ვაჟა ფშაველას ქუჩა N71 ს/კ 405205175 ს/ს თი ბი სი ბანკი ბ/კ TBCBGE22 ა/ა GE74 TB73 9223 6080 1000 07
სოფიო გორგოძე დირექტორი	Mariam Ivanishvili 01008045626 Digitally signed by Mariam Ivanishvili Date: 2022.07.04 20:20:23 **მარიამ ივანიშვილი** დირექტორი